საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების

სასერტიფიკატო კურსი

კურსის სახელწოდება:	ლიდერობა 21-ე საუკუნეში Leadership in 21th century
კურსის მოცულობა:	16 საათი.
კურსის ხელმძღვანელი	ნინო ელბაქიძე, განათლების ექსპერტი, დოქტორის აკადემიური ხარისხის კანდიდატი, ჰაიდელბერგისა და მაგდებურგის უნივერსიტეტების მაგისტრი, კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯის ლიდერობის საერთაშორისო დიპლომის მფლობელი, საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, ზრდასრულთა განათლების ტრენერი.
კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები (გთხოვთ, თან დაურთოთ CV)	ნინო ელბაქიძე, განათლების ექსპერტი, დოქტორის აკადემიური ხარისხის კანდიდატი, ჰაიდელბერგისა და მაგდებურგის უნივერსიტეტების მაგისტრი, კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯის ლიდერობის საერთაშორისო დიპლომის მფლობელი, საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, ზრდასრულთა განათლების ტრენერი.
სწავლების ენა:	ქართული
სამიზნე ჯგუფი:	ტრენინგი რეკომენდებულია შუალედური რგოლისა და აღმასრულებელი ხელმძღვანელებისათვის, პროექტების მენეჯერებისათვის, მენეჯერობის მსურველებისა და ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი სხვა პირებისათვის.
კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:	უმაღლესი საგანმათლებლო პროგრამის კურსდამთვარებული; ბაკალავარიატის ან მაგისტრატურის მოქმედი სტუდენტი; პროექტების მენეჯერი;

	საშუალო რგოლის მენეჯერი; აღმასრულებელი მენეჯერი.
კურსის მიზანი:	განათლება 21-ე საუკუნეში განსაკუთრებული დინამიკით გამოირჩევა. პანდემიამ ძალიან დააზარალა განათლების სექტორში ჩართული ყველა მხარე. ამ კონტექსტში შეიცვალა ლიდერობის პარადიგმები და მიდგომები. შუალედური და აღმასრულებელი რგოლის მენეჯერებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ ცოდნისა და უნარების განახლება, რათა არ ჩამორჩნენ დროს და უპასუხონ თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. ტრენინგი დაეხმარება მათ: • გააკეთონ თვითშეფასება და ამის საფუძველზე დაგეგმონ ღონისძიებები საკუთარი უნარების განვითარებისთვის; • შეისწავლონ პროექტების მართვის თანამედროვე მექანიზმები და მენეჯერის/ლიდერის უნარები; • ისწავლონ დროის მართვის ეფექტიანი გზები; • განაახლონ ცოდნა ეფექტიანი კომუნიკაციის მეთოდებზე; ტრენინგში წარმატებით მონაწილეობა მათ საშუალებას მისცემს, მეტი თავდაჯერებით წარმართონ პროფესიული საქმიანობა, კრიტიკულად გააანალიზონ საკუთარი პროფესიული პრაქტიკა და გახდნენ უფრო მეტად პროდუქტიულები.
სწავლის შედეგები:	კურსის დასრულების შემდეგ ტრენინგის მონაიწლემ იცის: • რას ნიშნავს ლიდერობა 21 ე საუკუნეში; თანამედროვე ლიდერის პროფესიული ჩარჩო; • ლიდერის თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები; • პროექტების მართვის თანამედროვე სტანდარტები • სხვადასხვა თაობის თანამშრომლების მახასიათებლები და მათთან განსხვავებული კომუნიკაციის გზები; • დროისა და ცვლილებების მენეჯმენტი;

	შეუძლია: • ეფექტიანი კომუნიკაცია სტეიკჰოლდერებთან სხვადასხვა კომუნიკაციის არხების გამოყენებით; • კეთილგანწყობილი და პროდუქტიული გახადოს სამუშაო გარემო; • აწარმოოს შედეგზე ორიენტირებული უკუკავშირი და რეპორტინგი. ღირებულებები: • ტრენინგის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იზიარებს თანასწორობისა და ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპებს სამუშაო ადგილზე და თანამშრომლებთან ურთიერთობისას. • იმგვარი მიდგომების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს თავად ხელმძღვანელი პირისა და ორგანიზაციაში დასაქმებული პირების პროდუქტიულობის გაზრდასა და მათი შესაძლებლობების აქტუალიზაციას.
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:	გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია, დისკუსია, გონების იერიში, დემონსტრაცია, ჯგუფური და ინდივიდუალური სავარჯიშოები, პრეზენტაცია და პრობლემაზე დაფუძნებული მაგალითების ანალიზი.
მსმენელის შეფასების სიტემა:	შუალედური და დასკვნითი (საბოლოო) შეფასების ფორმები: დასწრება, (80 %) პრეზენტაცია: ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. (20 %) დასკვნით (საბოლოო) პრეზენტაციაზე დაშვების წინაპირობა: სასწავლო სესიებზე დასწრება.
სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:	სერტიფიკატის მინიჭებისათვის ტრენინგის მონაიწლე უნდა აკმაყოფილებდეს ორივე კრიტერიუმს: ტრენინგზე დასწრება და პრეზენტაცია.

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:	**პროექტორი, ლეპტოპი, სამუშაო ფურცლები, კალამი.**

კურსის სტრუქტურა და შინაარსი

I მოდული (იმ შემთხვევაში თუ კურსი რამდენიმე მოდულისაგან შედგება)
(მიუთითეთ ძირითადი საკითხები, საათების რაოდენობა თითოეული საკითხისათვის, ლიტერატურა)

#	თემა / სესია	საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის	მეთოდები	სასწავლო მასალა*
	ტრენინგის პირველი დღე			
1	შესავალი, გაცნობა, ყინულის გატეხვის სესია: საკუთარი თავის წარდგენა. მონაწილეებისგან ტრენინგის მოლოდინების განსაზღრა	0,5 სთ.	წყვილში მუშაობა, პრეზენტაცია.	ჯ. თერნბული „პროფესიონალის მახასაითებლები“-ს მიხედვით
2	საკუთარი იდენტობის გარკვევა: ვინ ვარ მე? რა სურვილები მაქვს, რა მისწრაფებები, რა არის ჩემი მთავარი ღირებულება? ვაკეთებ თუ არა იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე?	0,5 სთ	პრეზენგტაცია, ინდივიდუალური მუშაობა დისკუსია	
3	გაცნობიერებული კომპეტენტურობის ოთხი სტადია. კითხვა-პასუხი	0,5 სთ	ტრენერის პრეზენტაცია	
4	50 შეკითხვა, რომელიც გვეხმარება პროფესიულ ორინეტაციაში: განვითარების რა ეტაპზე ვართ?	0.5 სთ	ტრენერის პრეზენტაცია ინდივიდუალური მუშაობა	www.karrieirebibel.de www.wissen.de

5	ტრენინგის მონაწილეების პრეზენტაციები: საკუთარი პროფესიული იდენტობის გარკვევა. თითო 5 წუთი	0.5 სთ.	პრეზენტაცია	
6	ლიდერობა და პროექტების მართვა, პროექტების ნაირსახეობა და მახასაითებლები.	0,5 სთ	ტრენერის პრეზენტაცია	Cambridge international College, Modul 1
7.	ტრენინგის მონაწილეები წარმოადგენენ მათ მიერ განხორციელებულ ყველაზე წარმატებულ და წარუმატებელ მაგალითებს. ქეისების განხილვა, დისკუსია. ტრენინგის პირველი დღის დასასრული	1 სთ.	ინდივიდუალური მუშაობა და 1 პრეზეტაციები	
	ტრენინგის მეორე დღე: თანამედროვე ლიდერის ანტრეპრენერული უნარები			
1	წინა დღის რეფლექსია, მონაწილეების უკუკავშირი, მეორე დღის სამუშაო გეგმის წარდგენა	0,5 სთ.	დისკუსია	
2	ევროკავშირის ენტრეკომპის ჩარჩოს პრეზენტაცია. თანამედროვე ლიდერის ანტრეპრენერული უნარები	0,5 სთ.	პრეზენტაცია	ევროსაბჭოს ენტრეკომპის ჩარჩო: EntreComp: The Entrepreneurship Competence Framework.
3	ენტრეკოპმის ჩარჩოს მიხედვით ტრენინგის მონაწილეების თვითშეფასება	0,5 სთ.	ინდივიდუალური მუშაობა	
4	მონაწილეების პრეზენტაციები: თვითგანვითარების ინდივიდუალური გეგმა ენტრეკომპის ჩარჩოს საფუძველზე ტრენერის უკუკავშირი	1 სთ.	პრეზეტაციები, უკუკავშირი	
5	პროექტების მართვა: რატომ არის დაგეგმვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებისთვის. პროექტების სიცოცხლის ფაზები: დაგეგმვა, მსვლელობა, უკუკავშირი, რეპორტინგი, გამოსვლის ფაზა.	0,5 სთ	პრეზეტაცია, ლექცია	Cambridge International College Module 2

6	Digicomp - დიგიტალური კომპეტეციების ევროპული ჩარჩო და გამჭოლი კომპეტენციები. რა დიგიტალური და გამჭოლი უნარები ესაჭიროება ყველა თანამედროვე ლიდერს	0,5,სთ	პრეზენტაცია, დისკუსია,	Digicomp frameowrk
7	პანდემიის გავლენა ორგანიზაციული კულტურების ტრანსფორმაციაზე. დიგიტალური გავლენა დამსაქმებლებსა და დასაქმებულების პროფესიულ ცხოვრებაზე.	0,5 სთ	დისკუსია, სემინარი,	
	ტრენინგის მესამე დღე: თანამედროვე ლიდერის მახასაითებლები			
	წინა სატრენინგო დღის შეჯამება, რეფლექსია, უკუკავშირი, მიმდინარე სატრენინგო დღის გეგმის გაცნობა	0,5 სთ	დისკუსია, რეფლექსია, უკუკავშირი	
2	თანამდროვე ლიდერის მახასიათებლები, სხვადასხვა თაობის პერსონალთან ურთიერთობის თავისებურებები, პრეზენტაცია კითხვა-პასუხი	0,5 სთ.		Cambridge International College, Modul 2
3	პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება: კონკრეტული მაგალითების განხილვა სამსახურებრივი ცხოვრებიდან. -რა არის ლიდერის როლი კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდებისას? -როგორ გავუმკლავდეთ „ძნელ“ თანამშრომლებს? -თანამშრომელთა მოტივაციის ხერხები და საშუალებები	1 სთ	ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური მუსაობა, პრეზენტაცია, დისკუსია, უკუკავშირი	
4	კომუნიკაციის თანამედროვე მექანიზმები; სტეიკჰოლდერებთან კომუნიკაციის პერიოდულობა და სიცხადე. რატომ კლავს ბუნდოვანი კომუნიკაცია თანამშრომლების მოტივაციას.	1 სთ.	პრეზენტაცია, ლექცია, კითხვა-პასუხი	Cambridge International College Module 2
5	პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება:	1 სთ	ინდივიდუალუ	

	-არასწორი კომუნიკაციის შედეგები პროექტების დაგეგმვის დროს -ბუნდოვანი კომუნიკაცია და ორგანიზაციული კულტურა -თანამშრომელთა მოტივირება -წარმატების გაზიარება კოლეგებთან სიტუაციური მაგალითების ანალიზი, პრეზენტაცია. ***საშინაო დავალება: პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება***		რი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, დისკუსია, უკუკავშირი.	
	ტრენინგის მეოთხე დღე: რესურსების მართვა და დროის მენეჯმენტი			
	წინა სატრენინგო დღის რეფლექსია, უკუკავშირი, ტრენინგის ბოლო დღის გეგმია გაცნობა	0,5 სთ	დისკუსია, უკუკავშირი, რეფლექსია	
2	დროის მართვის თანამედროვე ტენდენციები, 24 საათის პრინციპი.	0,5 სთ	პრეზენტაცია, კითხვა-პასუხი	
3	პრაქტიკული დავალება: დავიწყოთ ბოლოდან ტრენინგის მონაწილეები წარმოადგნენ ფიქტიური პროექტის დასკვნით ნაწილს. რა შედეგებზე გავიდნენ ამ კონკრეტულ პროექტში, რა რესურსები გამოიყენეს, რა დრო დასჭრიდა ამ პროექტის განხოციელებას და როგორ მივიდნენ პროექტის იდეის ინიცირების ფაზაზე.	1 სთ.	ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა პრეზენტაცია უკუკავშირი დისკუსია	
4	დროის მართვის სხვადასხვა მეთოდები: პარეტოს მეთოდი, პათოლოგიური პროკრასტინაცია, პრიორტეტების განსაზღვრა	0,5 სთ.	პრეზენტაცია, კითხვა-პასუხი	
5	მონაწილეების მიერ საშინაო დავალების წარდგენა-პრეზენტაცია: ლიდერის პროფესიული განვითარების გეგმა	1 სთ	პრეენტაცია, კითხვა-პასუხი, დისკუსია,	

	უკუკავშირი, შეფასება		შეფასება	
6	ტრენინგის შედეგების შეფასება მონაწილეების მიერ, უკუკავშირი, დასკვნითი ნაწილი.	0,5 სთ.	რეფლექსია, შეჯამება.	